



დებიორნარი

№ 51

გამოდის კვირაში სამჯერ

28 ივნისი 1944 წ.

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

კოტანტინის ნახევარ კუნძულზე ინგლის - ამერიკელთა წინსვლა
შეჩერებულია

გერმანული ავიაციის წარმატებით თავს ესხმის მტრის გემთა თავშეყრის
ადგილებს

ლონდონის და ინგლისის ნავთსადგურების დაზოგვამ შეაჩერა მტრის
გადმოსხმულ ჯართა მიმართულება

ფიურერის მთავარი ბანაკი.
20 ივნისი.
გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ნორმანდიაში გუშინდელ ბრძოლებში მტერმა განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახა.

ტილი - ლივრის რაიონში მტერი, ქვეითა ჯარების და ტანკთა დიდი შენაერთებით, მრავალჯერ უშედეგოდ შეეცადა ჩვენი ხაზების გარღვევას, რომლის დროს ტილის სამხრეთ - დასავლეთით მტრის ერთი ბათალიონი სავსებით განადგურებული იქმნა და მისი შტაბი ტყვედ ჩაგვივარდა.

კოტანტინის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვან შეტაკებებს ადგილი არ ჰქონია. მტრის მზვერავმა, ჯავშნოსანმა ჯგუფმა კონტაქტი დაამყარა შერბურგის გამაგრებული რაიონის სამხრეთით მდებარე ჩვენს პოზიციებთან.

ლონდონის რაიონი ისევ ჩვენი ახალი იარაღის ცეცხლის ქვეშაა.

კოტანტინის ნახევარკუნძულის წყლებში ჩვენმა სანაპირო ბატარეებში აიძულეს მტრის რამოდენიმე გემი, უკან ებრუნებიათ პირი.

გასულ ღამეს, გერმანიის ავიაცია წარმატებით თავს ესხმოდა ნორმანდიის ხიდის თავის მომარაგებელ, მტრის გემთა თავშეყრის ადგილებს.

ღამატებით ცნობების მიხედვით, ვარდა იმ გემებისა, რომელთა ჩაძირვა აღნიშნული იყო 19 ივნისის კომუნიკეში,

ჩაძირული იქმნა კიდევ მტრის ორი სავაჭრო გემი, რომელთა წყალწვეა 18.000 ბრუტოტონას უდრის, და ერთი კონტრ-ნაღმოსანი. ამთ ვარდა შიშველ დაზიანებულნი იქმნენ ერთი კონტრ - ნაღმოსანი, ერთი 8.000 ბრუტოტონის შემძლე, ნავთისგადაამზიდველი გემი და ერთი სატრანსპორტო გემიც.

ამ გემებზე თავდასხმების დროს განსაკუთრებით დაწინაურდა ლენერალ კონტეს სარდლობის ქვეშ მყოფი ავიაციის ერთ - ერთი დივიზია. ნორმანდიის ხიდის თავის რაიონში და დასავლეთის ოლქებში ჩამოგდებული იქმნა მტრის 29 თვითმფრინავი. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, კუნძულ ელბის მცირე რიცხოვანი გარნიზონი დიდ ზარალს აყენებდა მასზე მრავალჯერ აღმატებულ მტერს. ამ ღამეს ის გადმოყვანილი იქმნა კონტინენტზე. მიუხედავად მძლავრ შეტევებისა, იტალიის ფრონტზე მტერმა მაინც ვერ შესძლო

მიზნად დასახული ჩვენი ხაზების გარღვევა.

აღმოსავლეთის ფრონტზე, გარდა ვიტებსკის რაიონის ადგილობრივ ხასიათის ბრძოლებისა, სხვა სექტორებში მდგომარეობა უცვლელია.

ფინეთის ყურში გერმანულმა მსუბუქმა საზღვაო ერთეულებმა დაზიანეს საბჭოთა ორი ჩქარმავალი კატერი და კარელიაში ჩამოაგდეს მტრის 5 ბომბდამშენი.

შიშინაოგა უვეციაში

ფინეთის სამხედრო კომუნიკე იუწყება, რომ კარელის ყელში ფინეთის ჯარებმა დიხიეს ვილპურის მიმართულეებით.

შვეციის პრესა აღნიშნავს რა ამ გარემოებას, შიშს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები ბალტიის ზღვაზე გასვლისას, თუ მათ ეს საჭიროდ დაინახეს, — არა დაერიდებიან შვეციაზე თავდასხმას.

გერმანიის უმაღლესი სარდლობა ოფიციალურად აღნიშნავს ქართველ მოხალისეების გირჩულ წინააღმდეგობებს ატლანტიკის ნაპირებზე. ქართველობამ აქ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავიანთი მამა - კავური ბრძოლის უნარიანობა. მნახველებმა გვიამბეს ქართველთა, პირდაპირ საუბარო მოქმედებანი.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი მოხალისენი განაგრძობენ გირჩულ ბრძოლას იმ დიდი იმედითა და ჩვენი, რომ მათი თავდადება და სისხლი დაჯილდოებული იქნება ჩვენი ტურჯა სამოღობლოს, საქართველოს თავისუფლებით.

რაიხი გადავიდა შეტევაზე

ელმუტ ზუენდელმანი, რეიხის პრესის უფროსის მოადგილე სწერს „ველკიშელ ბეობახტერში“, რომ ახალმა იარაღმა გაამართლა ყველა ის იმედები, რომლებსაც გერმანიაში მასზედ ამყარებდენ.

რაიხი გადავიდა შეტევაზე და ფიურერის ეს გადაწყვეტილება ითამაშებს გადამწყვეტ როლს. სხვა ფარული იარაღიც მზადაა და ისინი, ვისაც სურდა ევროპის ტერორით დაშინება, სამაგიეროს იგემებს.

საერთო შეტევაზე გადასვლის დრო დადგა

იაპონიის პირველმა მინისტრმა ლენერალმა ტოგომ, სამხედრო წარმოებთან წარმოშედგენელების კონფერენციაზე, განაცხადა, რომ შორეულ აღმოსავლეთში და ევროპაში ღერძის სახელმწიფოთათვის დრო დადგა ერთ და იმავე დროს, საერთო შეტევაზე გადასვლის მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საბოლოო გამარჯვება მათ მხარეზეა, — ვისაც რწმენა აქვს საკუთარ გამარჯვების და მისთვის შეუღდრეკლად იბრძვის.

„სიჩუმე — ყველაზე უკეთესი იარაღია“

ინგლისური გაზეთი „ფტონ ტიდინგი“ სწერს, რომ საუკეთესო იარაღი „თვითმფრინავ - რობოტის“ (რობოტი — ყოველგვარი მანქანა, რომლებიც ადამიანის მაგიერობას ეწევა ავტომატიური მექანიზმით) წინააღმდეგ — ძარული სიჩუმეა. არ უნდა ქვეყნებოდეს არავითარი ცნობა იმის შესახებ, თუ სად და რა განადგურება იქნება მიყენებული ახალ გერმანულ ყუმბარებით. იმათი გვარებიც კი, რომლებმაც შეეძლეს ახლოდ ენახად ეს აპარატები, არ უნდა იქნეს გამოქვეყნებული.

საუბარი ლევიონერებთან

ტფილისში ბატონდება რუსეთი*)

V

ფშავს, გადილს, ფრიად გულად კაცს და გოლიათებურის ტანისას დაკისრებული ქონდა ამ საქმის სისრულეში მოყვანა. რამდენჯერმე ჩამოსულიყო ტფილისში, რომ დედოფალთან შეთანხმებულყო იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა ყოფილიყო ეს საქმე სისრულეში მოყვანილი. ბოლოს ყველაფერი მზად იყო მარიამის მოტაცებისათვის, და გადილამ მოახსენა დედოფალს, რომ ჩვენები დიდი ალტაცებით მიგელიან მთებშიო.

ეს გარემოება, რასაკვირველია, მაშინვე აუწყა კალატოზოვმა ციციანოვს, მაგრამ ციციანოვს სურდა თვითონ დარწმუნებულიყო ამ ამბის სინამდვილეში და აგრეთვე უნდოდა გადილა ენახა. ამისათვის ბრძანა, გადილა დამიჭირეთ და მომგვარეთო. გენერალმა ჩვეულებებისამებრ დაიტოვა მხოლოდ თარჯიმანი, რადგან თუმცა თვითონ კარგად იცოდა ქართული, მაგრამ სამსახურის დროს უნდა იყოს ქართული.

— განარჯობა ციციშვილო. შემდეგ მათ შორის გაიმართა შემდეგი ბაასი:

— რად ჩამოსულხარ გადილა ქალაქში? ჰკითხა გენერალმა.

— მარილის საყიდლად, — უპასუხა ფშაველმა.

— ჰაა! სიმართლეს ნუ მიმალავ, განა სხვა მიზეზი არ გქონია ქალაქში ჩამოსვლისათვის?

— არა, მხოლოდ მარილის საყიდლად ჩამოსულვარ.

— ფშაველო! შენი სიცოცხლე დამოკიდებულია სიმართლეზე და თუ სიმართლეს დამიმალავ, იცოდე, რომ მე შემიძლია ახლავე თავი გაგაგდებინო.

ფშაველს გული მოუვიდა და გაბრაზებული ხმით შესძახა:

— მერე ვისი ხელით გამაგდებინებ თავს? განა ეს სომეხი თარჯიმანი გაბედავს ამას? განა აღარ მაქვს ჩემი ხანჯალი, რომელიც არასოდეს არ მშორდება?

დებ! სიქვა და ხელი ხანჯალზე დაიდვა.

ციციანოვი დარწმუნდა, რომ ამისთანა გულად კაცთან მუქარით ვერას განდებოდა და გადასწყვიტა, ისევ მოფერებით მოეგო მისი გული. წამოდგა და მიუახლოვდა მთიელს, ხელი დაადო მხარზე, თითქმის ეფერებოდა, და უთხრა:

— მამაცო ფშაველო, ნუ წყრები, არაფერს ცუდს არ შეგამთხვევ შენ; მხოლოდ მითხარი სიმართლე.

ყოველივე მეცადინეობა ამოდ დარჩა. ფშაველი თავისას არ იშლიდა და ყველაფერს უარყოფდა გენერლის წინაშე. მაშინ გენერალმა გამოიყვანა კალატოზოვი, რომელიც ტახტის ქვეშ იყო. ეგონა მაშინვე გონებას დაუბნევედა ფშაველს ამ კაცის უცებ წამოყენებით, რომელსაც გადილა არაფერს არ უმაღავდა დედოფლის წინაშე. კალატოზოვი მსწრაფლად მიუბრუნდა ფშაველს და უთხრა:

— გადილა ნუღარ ამბობ უარს, სჯობს გამოტყდე და აღიარო, რისთვის ხარ ჩამოსული ქალაქში. აბა ჩემთან როგორ იტყვი უარს, განა არ განსოვს, რომ მეც ვიყავი დედოფალთან, როცა შენ მას მოახსენე, რომ ყველაფერი მზად არის ქალაქიდან თავის დასაღწევადო, და მთებში წასასვლელად კუკიაში ცხენები გიცილიანო?

გაოცებული ფშაველი მიუბრუნდა კალატოზოვს და ზიზღით და ბრაზით უთხრა:

— სულ ტყუილია და სიცრუე... მაგრამ მეტის პასუხის ნება აღარ მისცეს. ოთახში შემოიყვანეს ექვსი გრენადერი, რომელთაც იარაღი ახადეს ფშაველს და ცემა დაუწყეს თოფის კონდახით. როცა ფშაველი ყარაულებს ციხეში მიჰყავდათ, კალატოზოვმა გაბედა და სილა შემოჰკრა მას. გადილა ამპარტანუღლად მიუბრუნდა კალატოზოვს და უთხრა:

— მქონდეს ჩემი ხანჯალი, ნახავდით თქვენ ყოფას — ყველას ერთად გაგწყვეტდით...

ციციანოვს მეტი დამტკიცება აღარ უნდოდა მარიამ დედოფლის განზრახვის შესახებ, ესე-ღა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქვეყნის საბოლოოდ დამორჩილებისა და მშვიდობიანობისათვის მიუცილებელი საქმე იყო დედოფლის დაუ-



საქართველოს ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე ღვაწლი ბატონიშვილი

ყონებლივ გადასახლება. ამიტომაც მეორე დღესვე, კვირას (12 აპრილს 1803 წელს) დედოფალი ტფილისიდან უნდა გაეგზავნათ. ნაბრძანები იყო, რომ დედოფალი დიდის ამბით გაესტუმრებიათ, ამისათვის დანიშნული იყო გენერალ-მაიორი ლაზარევი (ივან პეტროვიჩი) რომელსაც უნდა ხლებოდა თარჯიმანი კაპიტანი სოროკინი, ტომით სომეხი, და ორი რაზმი ქვეითა ჯარისა. ლაზარევი ამ დიდი ამალით დილა ადრინათ დედოფლის სასახლეში უნდა მისულიყო და დედოფალი წასასვლელად გაემზადებინა. მართლაც მეორე დღეს, ძალიან ადრე, გენერალი ლაზარევი მივიდა დიდის ამბით დედოფალთან და უცებ შევარდა მის ოთახში. დედოფალი ვალვიძებული იყო და აქაური ჩვეულებისამებრ ფეხმოკეცილი იჯდა ხალიხით მართულ ტახტზე, რომელზედაც ღამით ლოგინს დააგებდნ ხოლმე. ორი დღე იყო რაც მარიამს გაეგო, რუსეთიდან ბრძანება მოსულა, უნდა საქართველოს მომავლოდ და უკანასკნელ წამამდე იმ ტახტილი იმედით ოცნებობდა, რომ ამ სას-

ტივ ბრძანებას თავიდანვე ცილებო. მის გარშემო ღვაწლი ედინათ მის შვიდ შვილს. ესენი სულ პატარები იყვნენ, ისე რომ ყველაზე უფროსი შვილი შვიდი წლისა იყო.

ლაზარევი რომ შევიდა სასახლეში, პატივისცემა არ გამოუჩენია დედოფლისადმი, მხოლოდ ეს ორიოდ სიტყვა გამოუცხადა თარჯიმანის პირით:

— აღეჩით უნდა წახვიდეთ! დედოფალმა წყნარად უპასუხა:

— რისთვის უნდა ავდგე ახლა? ვერ ხედავთ, რომ ჩემს ბავშვებს აგერ ტკბილად სძინავთ? ასეთი საჩქარო ბრძანება ვინ მოგცათ.

ლაზარევი უპასუხა, რომ ბრძანება ციციანოვმა მომცათ. დედოფალმა მიუგო.

— ციციანოვი ცოფიანია, ამ ქართული სიტყვებით დედოფალს უნდოდა ეთქვა, რომ ციციანოვი თავის გვარის ღირსი არ არის. რადგან თავის ნათესავებს აგრე სასტიკად ეპყრობათ. ამავე დროს დედოფალმა მუხლებზე დაიდვა, ვითომ ხელების დასაბჯენათ, მუთაქა, მის ქვეშ დამალა ქმრის ხანჯალი. ლაზარევი დარწმუნდა თუ არა, რომ დედოფალი აღარ იშლის თავის განზრახვას და სურს მომაცდევინოს შვილების გაღვიძებამდგო, მიუახლოვდა ტახტს, რომელზედაც დედოფალი იჯდა; დაინახა, რომ მუთაქის ქვემოდან დედოფალს ერთი ფეხი უჩანდა, უნდოდა ხელი წაეგლო, რომ ძალით აეყენებინა. მაგრამ დედოფალი იმ წამს ჩამოვარდა, ხელში ეჭირა ხანჯალი, რომელიც ჩასცა ლაზარევის მარცხენა გვერდში ისეთი ძალით, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხრით გამოჩნდა. შემდეგ ისევ გამოაცალა სრულიად გასისხლიანებული ხ ა ნ ჯ ა ლ ი სრულის სიმშვიდით მიარტყა სახეში გენერალს და შესძახა:

— ასეთი სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურებაც დაართო.

ლაზარევი იქვე დაეცა და თითქმის მაშინვე დალია სული: მის ერთ დაყვირებაზე თარჯიმანმა სოროკინმა იძრო ხმალი და რ ა მ დ ე ნ ი მ ე ჯ ე რ დაჰკრა დედოფალს მარცხენა ხელზე და სხვათა შორის ერთი

*) დასაწყისი იხ. „ლევიონერი“-ს № 50-ში.



ღრმა ქრილობა მხარზე დაამხნია. ოთხი ოფიცერი შემოვარდა მაშინვე ოთახში. ერთი მარჯანი მაიორი იყო. მათ გაიტანეს სულ - მობრძავი ლაზარევი გარეთ.

მთელი სასახლე გაივსო სალდათებით, რომელთაც ოფიცის კონდახების ცემით გამოვლავეს დედოფალი მარიამი მის დედას ელენეს. დედოფალი სულ ვასისხლიანებული გამოიყვანეს ოთახიდან და შვილებთან ერთად ჩააგდეს ეტლში, და წაიყვანეს რუსეთისაკენ. ტფილისიდან კავკასიის იქითა მხარეებზე დედოფალს მიჰყვებოდა დიდ - ძალი ჯარი. მთელ გზაზე ქართველები გამოდიოდნენ, დედოფლის ეტლს ეგებებოდნენ და ცრემლის დენით უცხადებდნენ მწუხარებას იმის გამო, რომ დედოფალს სამშობლოდან ასახლებენ. დედოფლის ერთმა ვაჟთაგანმა ირაკლიმ წყალი ითხოვა, ერთმა ქართველმა მიაწოდა, მაგრამ სალდათები ცუდათ მოეპყრენ და წყლის ჭურჭელი გადაუგდეს. ასე გაშმაგებული სიმხეციით მოაშორეს სამშობლოს მარიამი დედოფალი თავის შვილებით.

ციციანოვს სურდა გაეგო, რას ესაუბრებოდა დედოფალი თავის შვილებს ან ქართველებს გზაში და ამისათვის მეეტლედ ამოიჩნია ისეთი ვინმე, რომ ელსაც კარგად ესმოდა ქართული. როცა მეეტლე დაბრუნდა ტფილისში, ჩვენება მისცა ციციანოვს. სხვა ნალაპარაკებთა შორის აღსანიშნავია ბავშვებთან ბაისი, რომელიც ამტიკუებს მათ მტიკიცე ხასიათს. პატარა გაბრიელი ეკითხება დედასო: დედა, რად მოჰკალი შენ ის აფიცერიო? და როცა დედოფალმა უპასუხა „თქვენი სიკეთისათვისო“. ყმაწვილმა მაშინვე მიუგო. „მაშ დედა, სთქვი რომ მე მოვკალი ის კაცი და შენ აღარას გავნებენო“!

მარიამ დედოფალი მიიყვანეს რუსეთში და შეიყვანეს ერთ - ერთ მონასტერში. თარჯიმანი სოროკინი რომელმაც გაბედა დედოფლის ხმლით დაჭრა, 1804 წელს ლეკებმა მოჰკლეს. მოღალატე კალატოზოვმა ჯილდოთ მიიღო ასი ოქრო, აფიცრის ჩინი და პოლიციის უმფროსობა გორში, სადაც მალე გარდაიცვალა უბედურად. ყველასგან მოძუ-

ლებული. თვით თავადი ციციანოვი, მოჰკლეს ბაქოს კარების წინ 8 თებერვალს 1806 წელს.

ასე ტრადიკულად დასრულდა საქართველოს სამეფო. მე ჩემს მოვალეობით დავსახე მომეთხოვა დაწვრილებით ეს ისტორიული ფაქტი“.

საინტერესო იქნება აქვე აღვნიშნოთ ისტორიკოს პლატონ იოსელიანის აღწერა მშვენიერ ქალთა შორის ბრწყინვალე, მარიამ დედოფლის ტრადიკული ამბისა. მისი აზრით — „გენერალი ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისაგან, რომელსაც მიაწერეს ეს და არა ჯიბრაელისაგან, დროსა მას, როდესაც ლაზარევი ციციანოვისა ბრძანებითა, შემოართყა ჯარი დედოფლის სასახლესა და შევიდა თვით ლაზარევი გამოსაყვანად მისსა, იყო დილის 8 საათი. დედოფალმა მოითხოვა დრო და მოთმინება: „შვილებსა წვრილებსა სძინამთო“. ლაზარევი ეს თხოვნა არ მიიღო, გაბედა და სტაცა ხელსა და მრისხანეთ უთხრა: ეხლავე გამოდიოთ! ჯარი ვერ მოგიცდით დიდ - ხანსო, მაშინ მუნ მყოფმა თავადმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა სწრაფ ამოიღო ხანჯალი დასცა მუცელში. ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორე ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელსა. შეესივნენ ჯარის კაცი და გამოიტანეს მოკლეულისა ლენერლისკ ვეამი. თვით დედოფალი დაჭრა ხმლითა მკლავში სომეხმან... კაჭკაჭაშვილმა, პოლიციის კვარტალმა. დედოფალი ჩასვეს ტახტრევანსა და შვილი მისი მეფის-ძე ხუთის წლისა ირაკლი და წაიყვანეს რუსეთად, და დაასადგურეს ნოვგოროდსა.“

რუსეთში გადასახლებული დავით - რეგენტი სწერდა 1819 წ. დავით რექტორს შემდეგ: „ჩემო ლალავ! ყველას მოკითხვა უბრძანეთ, ვინც ჩემზედ იცინის და ვინც ჩემთვის სწუხს, იმათ წაუკითხე ლუკას სახარებიდან: „ვმადლობ ღმერთა, სუყველას მოვრჩი.“

მორჩი იძულებით შეურიგდა რუსეთს, ტახტის მემკვიდრე დავითი, მაგრამ ქართველი ერი, ახალ დამპყრობელს არ შერიგებია. ბრძოლა გაგრძელდა. **გ. ბარდაველიძე**

ლეონარია

ორი შესხველა

მრავალ ბანაკთა გამოვლის შემდეგ, უკანასკნელად ვსტოვებდით ქ. რასტოვ - დონის სამხედრო ტყვეთა ბანაკს.

აგვისტოს მშვენიერი და წყნარი, იდუმალებით მოცულ დამეში, მთვარის შუქი, ქალაქში ავარდნილ უძლეველ და განუწყვეტელ ცეცხლის ალსა და კვამლს, თითქოს ჭირისუფლები თანაგრძნობით ეალერსებოდა და თან ჩასჩურჩულებდა: არა მარტო თქვენი ხვედრია, არამედ ყოველ თაობათა.

მატარებლის ორთქლმავლის, საყვირის ხმის გამოძახილმა, სადაც მოშორებით წყნარი დონის ნაპირის გასწვრივ ჩაიხმაურა, გუშინდელი უღლეთურ მებრძოლთა უკანასკნელი სალამის მაგიერ.

ეკლიანი მავთულებით დახლართული მატარებლის შემადგენლობა დაირყა, ჩვენთვის უცნობი მიმართულებით...

მატარებელში მოთავსებულ ტყვეებს შორის მყოფ ქართველებისათვის, თვალთა მხედველობიდან სწრაფად გარდამავალ გარეშე სამყაროს, მხოლოდ ექსტრისული ცნობის მოყვარეობის კმაყოფილება ჰქონდა, და სხვა არავითარი, გრძნობის მიღმა სულიერი ტრალედიის განცდები.

რამ უნდა მიიპყროს მათი ყურადღება?! რამ უნდა აღელვოს მათი გულის - კიდებში მჩქეფარე სისხლი?!

მათ კარგად იციან, რომ ისინი ამ ბრძოლის უაზრო და უშინაარსო მსხვერპლნი არიან. წინაპართა დაღვრილი სისხლი მომავალ, საიდუმლოებით აღჭურვილ იმედთა ძეგლებათ აღიმართენ. სიმშვილე - წყურვილისაგან ღონე - მიხდილნი, რონოდის უჰაერო სივრცეში, კედლებს მიებჯინენ.

ქ. როვო, ვაუგონარი ომის ქარ - ცეცხლში ზეიმობს. ის, თავის მშობლიური უკრაინის წილში, მოულოდნელი თავისუფლების სინამდვილეს ეტრფის და დღესასწაულობს.

მაგრამ, ქალაქის შუა გულში მოთავსებული მეორე სამხედრო ტყვეთა ბანაკი, მრავალი ასეული ქართველისათვის დარჩება მწარე მოგონებად,

სადაც ქრთიან ნათელი სახეები, უშინაარსო ბრძოლაში უტყვეოთ დაცემული — ჩვენი ძმებისა.

იმ ბანაკში გატარებული დღეების, ხან მოკლე დროს ეკუთვნის ჩვენი პირველი ნაცნობობა. საღამოს ყამს, ბანაკის პატარა „ბაზარში“ შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. „შოლტა“ - აღმართული თანამემამულე, უწყსრივად თავზე დაყრილი ხუჭუჭი თმები, დაფლეთილი წითელ არმიელის ტანისამოსში; მოუშუშებელი ქრილობა ფეხს უძძიმებდა. ბანაკში განუწყვეტელმა სასტვენის ხმამ გაგვაშორა ერთმანეთს...

დღეს, რამოდენიმე ხნის შემდეგ, ჩვენ კვლავ შევხვდით ერთი - მეორეს, იარად ასხმულნი, გარკვეული მიზნებით და მისწრაფებით, შს ასეულში. ას მეთაურის ობერშარფიურერის შავი თვალეები მღელვარებით შორს სამშობლოსაკენ მიჩლტვიან.

— აქ, შინაგან და გარეგან მტრებთან ბრძოლა, ერთადერთი საწინდარია ჩვენი თავის უფლების მოპოვებისათვის. აი, აქ უნდა გადაწყდეს ქართველი ერის ბედი. — მშთამავანებელი დაბეჯითებით გამოსთქვამს ის.

მხედრული თვისებები, აღჭურვილი მოქალაქობრივი ზნეობით ქართველის განუყრელი ხარისხია; ობერშარფიურერი ალ. რუხბაძე ამ მოვლენის განსაკუთრებული წარმოშობით ეგზემპლიარია.

— აბა, როგორ ფიქრობთ თქვენ, სამხედრო მეცადინეობის და მოვალეობის აღსრულების დროს, ყოველივეს გადამწყვეტი დისციპლინაა, მაგრამ მოქმედებაში და ცხოვრებაში ჩვენ, ჩვენი ქართული ზნეობა პატრონების მატარებელი უნდა ვიყოთ.

— აი ასეთია, 23 წლის ქართველ ობერ-შარ - ფიურერის ზნეობის პრაქტიკული ფილოსოფია. მისი მქეჩარე ხმა, მხიარულების საყვირია, თვით ბრძანების გაცემის დროსაც მთლიან ასეულში; ის, ყველგან თავგამოდებული და კანონზომიერი მოსარჩლეა ქართველი

გერმანიის უმაღლეს სარდლობის ცნობები

ლონდონი და სამხრეთ - ინგლისის ნავთსადგურები შეუწყვეტილ ახალ იარაღის ცეცხლის ქვეშ არიან

დაიწყა ლონდონის მოსახლეობის ევაკუაცია

ამჟამად ნორმანდიაში ბრძოლა სწარმოებს სამ ალბილას: ორნის მარჯვენა მხარეზე, ტილის რაიონში და კოტანტენის სამხრეთით

ფიურერის მთავარი ბანაკი.

19 ივნისი.

გერმანიის ჯარების უმაღლესი სარდლობა იუწყება:

გუშინ ნორმანდიაში ბრძოლათა სიმძიმის ცენტრი მდებარეობდა სენ - სოვერ - ლევიკონდის რაიონში. ამ რაიონში მტერმა დიდ ძალი არტილერიის და ავიაციის დახმარებით შესძლო ჩვენი თავდაცვის ხაზების გარღვევა და ამ რიგად ის გავიდა კონტინენტის ნახევარკუნძულის დასავლეთის ნაპირებზე, ბარნევილ - სიურმერის მახლობლად.

ჩვენმა ჯარებმა ამ ადგილას მტერი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ჩაკეტეს მისი ორთავე მხარედან ფრონტის შექმნით. ჩვენ გავამაგრეთ ორნის მარჯვენა მხარეზე მდებარე მტრის ხიდის თავის შევიწროება. მტრის ტანკების წარმოებული კონტრ - იერიშები უშედეგოდ დარჩენ.

ტილის ორთავე მხარეზე მტრის მძლავრი იერიშები უშედეგოდ დარჩენ.

სენ - ლოს ჩრდილო - აღმოსავლეთით წინა დღით დაკავებული უბანი გაწმენდილი იქმნა მტრისაგან. ამ სექტორის ბრძოლებში განსაკუთრებით დაწინაურდა ლენერალ შიმფვის სარდლობის ქვეშ მყოფი პარაშუტელთა მე-3 დივიზია.

ჩვენმა ავიაციამ ნორმანდიის წყლებში ჩასძირა მტრის ორი სავაჭრო გემი, რომელთა

საერთო წყალწყვა 18.000 ბრუტოტონას უდრის, და ერთი კონტრანდომოსანი. მტრის ოთხი სავაჭრო გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 29.000 ბრუტოტონას უდრის, და სამი კონტრანდომოსანი მეტად მძიმედ დაზიანებულ იქმნა. ფლოტის სანაპირო ბატარეებმა აგრეთვე ძლიერ დაზიანეს მტრის ერთი კონტრ - ნდომოსანი კოტანტენის ნახევარ კუნძულის დასავლეთით.

კუნძულ ელბზე მტერს მოყავს ახალი ძალები და ამგვარებს თავის პოზიციებს. კუნძულის გარნიზონი, სახელოვან ლენერალ გალოის მეთაურობით, გმირულ წინააღმდეგობას უწევს მტერს და მას დიდი ზარალს აყენებს. მტრის რიცხვობრივად დიდი აღმატებლობის გამო, ჩვენი ჯარები ბრძოლას დაულებული შეიქმნენ და ეხიათ კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში, სადაც ამჟამად ბრძოლები გრძელდება. კუნძულ ელბის აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა ჩასძირეს ინგლისის ერთი ჩქარმავალი კატერი და ორი მძიმედ დაზიანეს. იტალიის ფრონტის დანარჩენ სექტორებში სწარმოებს გააფთრებული ბრძოლები.

აღმოსავლეთის ფრონტზე, კარპატების ქედის წინ, ბერეზინაზე და ვიტებსკის ორთავე მხარეზე საბჭოების ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშები უშედეგოდ დარჩენ, რომლის

ველ ესესმანის გულში და გრძობაში, რომელთა განუყრელი მსხვერპლი იქნება, ყველა დაუნდობელი და უხეში მტერი.

— ამის თავდება, ჩვენი ბედის წაღმა - უკუღმართობა, რომელმაც ჩვენ კვლავ აქ თავი მოგვიყარა, მრავალი ტანჯვა - წამების ეტაპთა გამოვლის შემდეგ, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ქართველი ეSSმანი

დროს მტერმა დიდი ზიანი ნახა. გასულ ღამეს ჩვენმა ავიაციამ დიდი წარმატებით აწარმოვა კონცენტრირული იერიშები სარნის რკინისგზის კვანძზე. ამერიკელ ბომბდამშენთა ერთმა ძლიერმა შენაერთმა გადაფრინდა ჩრდილო - დასავლეთ გერმანიასზე და მრავალ ქალაქზე ტერორისტული თავდასხმები აწარმოვა. განსაკუთრებით დაზარალდენ ჰამბურგის, ბრემის, ჰანოვერის და ვენემუნდეს დასახლებული უბნები. ჩვენმა საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს მტრის 16 თვითმფრინავი.

„ჩვენ არა ერთხელ გავაფრთხილეთ“

„ჩვენი გაფრთხილება არ იქნა მოსმენილი“, აცხადებს „ბერლინერ ლოკალ ანციეგერე“, სამხრეთ ინგლისის და ლონდონის წინააღმდეგ ახალ გერმანულ იარაღის ხმარების შესახებ. „როდესაც მტერმა და იყო მშვიდობიან, გერმანულ ქალაქთა განადგურება, გერმანიამ არა ასჯერ აღიმაღლა გაფრთხილების ხმა. ამ უკანასკნელ წელს კი გერმანიამ საქვეყნოდ განაცხადა სასტიკი პროტესტი ომის, ბარბაროსულ მეტოდებით წარმოების წინააღმდეგ. მტერმა ყური არ ათხოვა ჩვენს პროტესტებს. ქალაქთა დაბომბვით ომის წარმოება საშინელია, მისი პასუხისმგებლობა დიდია. ეხლა მსოფლიო გაიგებს, რომ ჩვენ ინგლისს პროტესტს უცხადებდით არა ჩვენი სისუსტის, არამედ პასუხისმგებლობის გრძობის გამო. ეხლა დრო დადგა, ინგლისელებმაც იგემონ ის უბედურებანი, რომლებიც ჩვენ ხმის ამოუღებლად გადავიტანეთ. იქნებ, ეხლა მაინც მიხვდნენ ისინი, რომ მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას მათვის არ მოუტანია არც სარგებლობა და არც გადარჩენა“.

გერმანია - იაკონის მემორანუმი

იაპონიის პირველმა მინისტრმა, ლენერალმა ტოგომ ფიურერს გაუგზავნა მეგობრული ტელეგრამა, რომელშიაც ის გამოსთქვამს თავის რწმენას ევროპულ კონტინენტის თავდასხმელებზე გერმანიის გამარჯვებაში და ანახლებს მიცემულ დაპირებას სრული თანამშრომლობის შესახებ საერთო მტრის განადგურების მიზნით.

რა ნიშნავს მორკა უკონტი

ინგლის - ამერიკელთა საფრანგეთში გადმოსხმის შემდეგ საბჭოთა ჟურნალმა „ომი და მუშათა კლასი“, პირველად განიხილა ინგლის - ამერიკელთა წამოწყების სტრატეგიული შესაძლებლობანი. ჟურნალი სასტიკად აკრიტიკებს ინგლის-ამერიკელთა მთავარ - სარდლობას და განსაკუთრებით კი ლენერალ ეიზენჰოვერს, რომელსაც ბრალს სდებს მთელი რიგი სტრატეგიულ შეცდომათა დაშვებაში.

„რას ნიშნავს მეორე ფრონტი“?, კითხულობს ეს ჟურნალისტი და იქვე თვითონვე იძლევა შემდეგ პასუხს: „ჩვენთვის ის წარმოადგენს საბოლოო, გადამწყვეტ ოპერაციების დასაწყისს. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ნორმანდიაში ინგლის - ამერიკელები ვერ მიაღწევნ საჭირო მიზანს, ე. ი. ისინი ვერ შესძლებენ გერმანიასზე ისეთი დარტყმის მიცემას, რომელიც შეარყევს მის საშინაო ცხოვრებას. თუ ნორმანდიაში ისეთივე სტრატეგიული შეცდომები დაუშვეს ინგლის - ამერიკელებმა, როგორც იტალიაში, მაშინ გერმანიის არმია შესძლებს დივიზიონალურ რაოდენობით თავდაცვის მოწყობას და ამრიგად „საბჭოთა კავშირი, სამხედრო თვალსაზრისით, იქნება ისეთივე მდგომარეობაში როგორც წინეთ იყო“.

„ლევიონარი“-ს რედაქციის მისამართი:

Georgische Betreuungsstelle
16, rue Eugene Delacroix,
Paris (16).

ნებართვა «პა 313».

მებრძოლისა. კომპანიის შეფუთვა, ობერ შტურმფიურერმა, ჩვენ გერმანელი მეგობრებთან ერთად აღ. რუხაძეში დაინახა არა მარტო სამხედრო ცოდნის ათვისების ღრმა უნარი, აგრეთვე, ქართული ტრადიციის წარუშლელი კვალი და ქართველის დღევანდელი ნამდვილი პოლიტიკური იდეალი, რომელიც ძლიერ დახლართული ძაფებით ორგანიულად ჩაქსოვილია, მის გონებიდან და ნებისყოფიდან, თვითული ქართ-